საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 338

თბილისი „09“ 03 2020 წ.

პროგრამის „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 9 მარტის N285486 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს პროგრამა - „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (პროგრამული კოდი 32 13) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ჩხენკელი

შემსრულებელი:

იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

_____ 09/03/2020 /ნინო კაპანაძე/

შეთანხმებულია:

იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელთან

_____ /ქეთევან ირომაშვილი/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ფუნქციათა შემსრულებელთან

_____ /მარიამ ძიძიგური/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან

_____ 09.03.2020 /დავით ლომინაშვილი/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

_____ /ნანა ფერაძე/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსთან

_____ /მარიამ ტაბატაძე/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ეკატერინე დგებუაძე/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ნუნუ მიცკევიჩი/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /თამარ ქიტიაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. იურიდიულ დეპარტამენტს;
2. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს;
3. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს;
4. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
5. სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს;
6. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
7. ადმინისტრაციას (დეპარტამენტი).

დანართი
დამტკიცებულია:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის
2020 წლის 09.03 № 338 ბრძანებით

პროგრამა „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“

პროგრამული კოდი - 32 13

2020

შეთანხმებულია:

სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან

_____ /ლალი კალანდაძე/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

_____ /ნანა ფერაძე/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ეკატერინე დგებუაძე/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /ნუნუ მიცკევიჩი/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /თამარ ქიტიაშვილი/

თავი I

მუხლი 1.

1.1. პროგრამის დასახელება	**ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი**
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	2020 - 2025 წლები
1.3. პროგრამის საპროგნოზო ჯამური ბიუჯეტი	119,100,000.00 ლარი
მ.შ კრედიტის ნაწილში	*95,280,000.00 ლარი*
მ.შ საბიუჯეტო სახსრების (თანადაფინანსების) ნაწილში	*23,820,000.00 ლარი*
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი	მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძე
1.5. ბიუჯეტის განმკარგავი	პროგრამის მენეჯერი
1.6. პროგრამის ქვე-კომპონენტები	1. ადრეული განათლების და ზრუნვის ხარისხის და მათთან წვდომის გაუმჯობესება (სასკოლო მზაობის კომპონენტი) 2. ზოგადი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის ხარისხის ამაღლება 3. უმაღლესი განათლების სფეროს დაფინანსების ახალი მოდელების დანერგვისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 4. განათლებაში მონაცემთა სისტემის და ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერება და სტრატეგიული კომუნიკაციისა და დონორთა კოორდინაციის გაძლიერება

მუხლი 2. პროგრამის აღწერა

პროგრამის - „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ ხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. მისი მიზანია განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის (სესხი ნომერი 8955). სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერამდე მომზადდა პროგრამის შეფასების დოკუმენტი, რომელიც საბჭოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 22 აპრილს, ხოლო სასესხო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი 2019 წლის 18 ივნისს. პროგრამის რატიფიცირება პარლამენტის მიერ მოხდა 2019 წლის 16 ოქტომბერს.

სესხის ეფექტურობის წინაპირობა გახლდათ პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც დაამტკიცა მსოფლიო ბანკმა და რომლის მიხედვითაც მოხდება პროგრამის მართვა.

პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შემდეგ, სესხი გახდა ეფექტური 2019 წლის 27 ნოემბერს. პროგრამის განხორციელება იგეგმება 2020-2025 წლებში.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი

• ადრეული განათლების და ზრუნვის პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით (სასკოლო მზაობის კომპონენტი)

• ხარისხიან, სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა სასკოლო ეტაპზე წარმატებული გადასვლის მიზნით

• ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისთვის

• „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვის მასშტაბის გაფართოება

• მასწავლებლების და სკოლის ხელმძღვანელების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა სკოლაზე მორგებული სასწავლო პროგრამის შემუშავება/ადაპტაციასა და განხორციელებაში

• მოსწავლეთა ეროვნული შეფასების ჩარჩოს შემუშავების ხელშეწყობა

• უმაღლესი განათლების სფეროს დაფინანსების ახალი მოდელების შემუშავება და მისი დანერგვის ხელშეწყობა

• კონკურენტული ინოვაციური გრანტების მეშვეობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წახალისება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით მიზნით

• უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

• საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების ხარისხის გაძლიერება

• განათლების სისტემის ეფექტიანი მართვისთვის ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერება, მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობისთვის

• განათლების რეფორმის მდგრადი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სტრატეგიული კომუნიკაციის, დონორი ორგანიზაციების კოორდინაციისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაციის მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ინდივიდუალურ კონსულტანტის ხელშეკრულებებს გააფორმებს პროგრამის მართვის გუნდის წევრებთან. პროგრამის მართვის გუნდი დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური და გამოცდილი კადრებით. პროგრამის მართვის გუნდი პასუხისმგებელი იქნება პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე. პროგრამის მართვის გუნდის წევრებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს ხელს მოაწერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ეკატერინე დგებუაძე.

პროგრამის მართვის გუნდი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით:

- პროგრამის მენეჯერი (კონსულტანტი)
- პროგრამის ფინანსური მენეჯერი (კონსულტანტი)
- პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი (კონსულტანტი)
- პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი (კონსულტანტი) (2)
- უმაღლესი განათლების კომპონენტის მიმართულების ხელმძღვანელი (კონსულტანტი)
- ზოგადი განათლების კომპონენტის მიმართულების ხელმძღვანელი (კონსულტანტი)
- ადრეული და სკოლამდელი განათლების ზრუნვის მიმართულების ხელმძღვანელი (კონსულტანტი)
- მონაცემთა ბაზების ინტეგრირების მენეჯერი (კონსულტანტი)
- მონიტორინგისა და შეფასების კონსულტანტი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (კონსულტანტი)
- იურისტი (კონსულტანტი)
- ინჟინერი (კონსულტანტი)
- ადმინისტრაციული მენეჯერი (კონსულტანტი)
- გადარიცხვების სპეციალისტი / ბუღალტერი (კონსულტანტი).

პროგრამის მართვის გუნდში დამატებითი თანამშრომლების აყვანა მოხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროგრამის მიზნებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე, პროგრამის მართვის გუნდი ითანამშრომლებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სკოლებთან, მუნიციპალიტეტებთან, რიგ შემთხვევებში სხვა სამინისტროებთან, სახელმწიფო, კერძო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე

მუნიციპალური განვითარების ფონდთან. თანამშრომლობა გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა პროექტის ფარგლებში, სამინისტროს მიერ შექმნილ თემატურ სამუშაო ჯგუფებში. პროექტის მართვის გუნდი გააცნობს სამინისტროს რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, მიიღებს მათგან უკუკავშირს. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, თემატური ჯგუფები შეიქმნება შემდეგი მიმართულებებით:

- ადრეული და სკოლამდელი განათლების ზრუნვის აღმზრდელ-პედაგოგების სახელფასო პოლიტიკის და სერტიფიცირების შემუშავების ჯგუფი
- მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ჯგუფი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაგეგმვის და სტანდარტების შემუშავების ჯგუფი
- უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელზე მომუშავე ჯგუფი
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების ჯგუფი
- სასკოლო ინფრასტუქტურის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი
- მოსწავლეთა შეფასებების განახლებული ჩარჩოს შემუშავების და დანერგვის ჯგუფი
- ინფორმაციულ საკომუნიკაციო სისტემის განვითარებისა და ანალიტიკის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი
- სტრატეგიული კომუნიკაციისა და დონორების კოორდინაციის გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი
- სხვა თემატური ჯგუფები, პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

- პროგრამის მართვის გუნდი სამინისტროს რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულებს წარუდგენს კონსულტანტების თუ სხვა ტიპის შესყიდვისთვის მომზადებულ სამუშაო აღწერებს და გაითვალისწინებს მათ მოსაზრებებს საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას;

- პროგრამის მართვის გუნდი სამინისტროს რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულებს წარუდგენს კონსულტანტების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს და უზრუნველყოფს, რომ მათი უკუკავშირი ასახული და გათვალისწინებულია;

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია მიაწოდოს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე პროექტის მართვის გუნდს ამ პროგრამით/ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები).

- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ცენტრი და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი წარუდგენენ ინფორმაციას პროექტის მართვის გუნდს, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და სხვა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე (მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს);

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო შექმნის პროგრამის საკოორდინაციო საბჭოს. პროგრამის საკოორდინაციო საბჭოში შედიან:

- ყველა თემატური მინისტრის მოადგილე
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რელევანტური სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები
- მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი
- განათლების სფეროში მოქმედი თემატურად რელევანტური დონორების წარმომადგენლები

საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა დამტკიცდება ბრძანებით. პროგრამის მართვის გუნდი ვალდებულია გეგმიურად, კვარტალში ერთხელ წარუდგინოს საკოორდინაციო საბჭოს პროგრამის მიღწევები. პროგრამის მენეჯერი საკოორდინაციო საბჭოს წარუდგენს:

- პროგრამის მიღწევებს
- დაგეგმილ აქტივობებს
- პროგრამის რისკებს და მათი დაძლევის სტრატეგიებს.

თავის მხრივ, საკოორდინაციო საბჭოს აქვს უფლება მოითხოვოს პროგრამის მართვის გუნდთან შეხვედრა არაგეგმიურად, საჭიროებებიდან გამომდინარე. საკოორდინაციო საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს და აძლევს პროგრამის მენეჯერს რეკომენდაციებს პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

პროგრამის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ განათლების სფეროს ყველა დონეზე ჩართული თანამშრომლები: სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია/დირექტორები, მშობლები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები, აღმზრდელები, დირექტორები, რესურს-ცენტრები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორები, ადმინისტრაცია, მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტები და სხვა.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი (გრძელვადიანი)

• გაუმჯობესებულია ადრეული განათლების და ზრუნვის პროგრამების (სასკოლო მზაობის კომპონენტი) ხარისხი და გაზრდილია ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე (სასკოლო მზაობის კომპონენტი)

• გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა სკოლებში, სკოლამდელი განათლების ჩათვლით (სასკოლო მზაობის კომპონენტი)

• „ახალი სკოლის" მოდელის დანერგვის მასშტაბები გაზრდილია

• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესაძლებლობები გაზრდილია მასწავლებლების და სკოლის ხელმძღვანელების პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობით

• დანერგილია განახლებული ეროვნული შეფასება მე-4 და მე-6 კლასელი მოსწავლეებისთვის

• უმაღლესი განათლების სისტემისთვის შემუშავებულია რეკომენდაციები ახალ, ეფექტიან დაფინანსების მოდელზე გადასასვლელად

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავებულია სტრატეგიები საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ან სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების გასაზრდელად

• გაზრდილია მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების ხარისხი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა საგრძნობლად გაზრდილია

• გაძლიერებული/სტრუქტურირებულია სისტემაში ანალიტიკის კომპონენტი და გაზრდილია მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება განათლების სფეროში.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	სულ 2020-2025 წელი
ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი	5,000,000.00	11,910,000.00	18,820,000.00	29,775,000.00	29,775,000.00	23,820,000.00	119,100,000.00

მუხლი 8. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროგრამის მენეჯერის, ბიუჯეტის განმკარგავის და ოპერაციული მენეჯერის ფუნქციები/ვალდებულებები

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები	ფუნქციები/ვალდებულება
პროგრამის ხელმძღვანელი	პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის განმკარგავების საქმიანობის შედეგების თანხვედრას, დაწესებულს პროგრამის მიზნებთან;
ბიუჯეტის განმკარგავი	პროგრამის მენეჯერი, რომელიც განკარგავს პროგრამის მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულ სახსრებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს პროგრამის მიზნების მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებებს;
ოპერაციული მენეჯერი	პროგრამის მმართველი გუნდი, რომელიც ანგარიშვალდებულია ბიუჯეტის განმკარგავის წინაშე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის საქმიანობაში და გააჩნია საქმიანობის მიზნები და ამოცანები. პროგრამის მართველი გუნდი უზრუნველყოფს მათი საქმიანობის შესაბამისობას პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნებთან.

პროგრამის მენეჯერის ფუნქცია-ვალდებულებები

- უზრუნველყოს, რომ პროგრამის განხორციელება შეესაბამება მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის რეგულაციებსა და მოლოდინებს;
- იყოს მთავარი დამაკავშირებელი რგოლი სხვადასხვა სტრუქტურას შორის, რომელიც ჩართულია პროგრამის მართვაში და გაითვალისწინოს ბანკისა და მთავრობის შესაბამისი წესები და რეგულაციები;
- პროგრამის მიზნების მიღწევა ადამიანური და ფინანსური რესურსების სწორი მართვის გზით;
- რეგულარულად აწარმოოს ანგარიშგება პროგრამის ხელმძღვანელთან პროგრამასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და სამომავლო მიზნებზე;
- აწარმოოს რეგულარული ანგარიშგება მსოფლიო ბანკთან პროგრამის მიღწევებზე;
- კოორდინირება გაუწიოს პროგრამას პარტნიორ სააგენტოებთან, როგორებიცაა: მუნიციპალური განვითარების ფონდი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC), შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS).
- პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ზედამხედველობა;
- პროგრამის მართვის გუნდის თანამშრომლებთან ერთად პროგრამის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება ყველა ქვე-აქტივობისთვის, რომელიც ემსახურება წინასწარ დასახული მიზნების მიღწევას და მათ ეფექტურ დანერგვას;
- პროგრამის ყოველდღიური დანერგვის პროცესის ზედამხედველობა და მათი დროული შესრულება;
- პროგრამის განხორციელების პროცესის რეგულარული შეფასება; რისკების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების გზების პოვნა.

- პროგრამის მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის შემუშავება და ინდიკატორების მიღწევის დროული და სანდო რეპორტინგი;
- პროგრამის შესყიდვების გეგმის მომზადების ხელმძღვანელობა, მისი რეგულარული განახლება პროგრამის მართვის გუნდის შესყიდვების თანამშრომლებთან ერთად;
- კონსულტანტების შერჩევის პროცესის ადმინისტრირება ბანკისათვის შესაბამისი წესებისა და გაიდლაინების დაცვით: შესაბამისი მეთოდის შერჩევა, სამუშაოს აღწერილობის მომზადება, სავარაუდო ბიუჯეტის დადგენა, სამუშაო დღეების რაოდენობის განსაზღვრა, წინადადებების შეფასება, დასტურის მიღება, მოლაპარაკების წარმოება, კონტრაქტის მინიჭება და აღსრულება;
- ბანკთან და სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროგრამის მართვის გუნდისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გასაზღვრა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის;
- ადამიანური რესურსების მართვის წესებისა და პროცედურების ზედამხედველობა, სამუშაო აღწერილობის განსაზღვრა;
- პროგრამის ეფექტური მართვისთვის შესაბამისი ტექნიკური უნარების მქონე თანამშრომლების შერჩევა;
- პროგრამის ფინანსების სპეციალისტთან ერთად ბიუჯეტის მომზადება, ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება და მისი გადახედვა საჭიროების შემთხვევაში; შეთანხმება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან;
- პროგრამის ფინანსური ოპერირების ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის წესებთან;
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის რეგულარული ანგარიშების წარმოება პროგრამის ხარჯებზე;
- მსოფლიო ბანკისთვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშების მომზადება და დროული გაგზავნა;
- რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის მიღწევებსა და გამოწვევებზე.
- უზრუნველყოს თანამშრომლური ურთიერთობის დამყარება პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: უნივერსიტეტები, სკოლები, ბაღები, კოლეჯები და ა.შ.

პროგრამის ფინანსური მართვა

პროგრამის ფინანსურ მართვას განახორციელებს პროგრამის მართვის გუნდი (პროგრამის მენეჯერი და პროგრამის ფინანსური მენეჯერი). პროგრამის მართვის გუნდის ზემოაღნიშნული პოზიციების პასუხისმგებლობაა პროგრამის ბიუჯეტის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური რეპორტინგის, გადარიცხვების განხორციელება, შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა და ყოველწლიური აუდიტის ჩატარების უზრუნველყოფა.

თავის მხრივ, მსოფლიო ბანკი ჩართული იქნება პროგრამის ფინანსურ მართვაში, შეამოწმებს პროგრამის კვარტალურ თუ წლიურ ანგარიშებს, შიდა კონტროლის მექანიზმებსა და ხარჯების მიზნობრიობას.

პროგრამის გუნდის ფინანსური მენეჯერი აგროვებს ინფორმაციას პროგრამის სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელებისგან მოსალოდნელი ხარჯების შესახებ და შეიტანს პროგრამის წლიურ ბიუჯეტში. ყოველი წლის ბოლოს, მომდევნო წლის ბიუჯეტი წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მსოფლიო ბანკს დასამტკიცებლად.

გადარიცხვის პროცედურები მოიცავს სამ საფეხურს:

1. პროგრამის მართვის გუნდის ბუღალტერი ამზადებს გადარიცხვებსა და საბუღალტრო სისტემაში გატარებებს;
2. პროგრამის მართვის გუნდის ფინანსური მენეჯერი ამოწმებს და ადასტურებს მათ;
3. დადასტურების შემდეგ, ეგზავნება პროგრამის მენეჯერს საბოლოოდ გადასარიცხად.

კრედიტის და საქართველოს თანადაფინანსების ანგარიშები გახსნილია სახელმწიფო ხაზინაში. ანგარიშებზე წვდომის სხვადასხვა დონის უფლება აქვთ მინიჭებული თანამშრომლებს:

- პროგრამის მენეჯერს
- პროგრამის ფინანსურ მენეჯერს
- გადარიცხვების სპეციალისტს/ბუღალტერს.

მსოფლიო ბანკიდან თანხის გამოთხოვისათვის წარდგენილია სამი უფლებამოსილი პირი, რომელთაგან ნებისმიერი ორი პირის ხელმოწერის შემთხვევაში განხორციელდება თანხის ხაზინის ანგარიშზე ჩამორიცხვა, ან კონტრაქტორისთვის პირდაპირი გადარიცხვა.

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს (პროგრამის ხელმძღვანელს)
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ეკონომიკური დეპარატამენტის უფროსს
- პროგრამის მენეჯერს

პროგრამის მართვის გუნდისთვის ხელფასის გადახდა მოხდება კონტრაქტების შესაბამისად, ხელფასის უწყისის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს ფინანსური მენეჯერი და პროგრამის მენეჯერი.

პროგრამის შესყიდვების მართვა

- პროგრამის შესყიდვების გეგმას ამზადებს პროგრამის მართვის გუნდის შესყიდვების სპეციალისტი, რომელიც თანხმდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან;
- პროგრამის შესყიდვების გეგმის შეთახმების შემდეგ, აღნიშნულ გეგმას პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი შესათანხმებლად უგზავნის მსოფლიო ბანკს სისტემა ,,STEP"-ის მეშვეობით; (STEP- Systematic Tracking Exchanges in Procurement- არის მსოფლიო ბანკის მიერ დანერგილი ელექტრონული სისტემა, ყველა ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის შესყიდვების სამართავად).
- ყველა სატენდერო სპეციფიკაციების/ტექნიკური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების შეთანხმება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რელევანტურ სტრუქტურებთან. ყველა თემატურად რელევანტური სტრუქტურის თანამშრომელი ვალდებულია აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სპეციფიკაციების/ტექნიკური დავალებების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის ეტაპზე;
- მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის მუშა პროექტი, რომელიც მოიცავს აღნიშნული ტენდერის სავარაუდო ღირებულებას, სპეციფიკაციებს/ტექნიკურ დავალებას/ნახაზებს/ხარჯთაღრიცხვას, ეგზავნება მსოფლიო ბანკს შესათანხმებლად სისტემა ,,STEP"-ის მეშვეობით;
- მსოფლიო ბანკისგან თანხმობის მიღების შემდეგ, შესყიდვებს მსოფლიო ბანკის წესების თანახმად მართავს და აცხადებს პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი/სპეციალისტები;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ქმნის სატენდერო კომისიას ბრძანების საფუძველზე, ხოლო თითოეულ შესყიდვაზე აღნიშნული კომისია ამტკიცებს და განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს და შემფასებლების ჯგუფს;
- სატენდერო კომისიის მიერ მტკიცდება შეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიში, რომელიც მომზადებულია პროგრამის გუნდის შესყიდვების სპეციალისტის და სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული შემფასებელი ჯგუფის მიერ;
- შემფასებელი ჯგუფის და სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული შეფასების ანგარიში ეგზავნება მსოფლიო ბანკს შესათანხმებლად (შესყიდვების გეგმის მიხედვით საჭიროებს თუ არა წინასწარ ბანკის მიერ გადახედვას) განსახილველად/დასამტკიცებლად;
- მსოფლიო ბანკიდან შეფასების ანგარიშზე თანხმობის მიღების შემთხვევაში, პროგრამის შესყიდვების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მზადდება კონტრაქტის მუშა პროექტი, რომელიც ასევე ეგზავნება მსოფლიო ბანკს შესათანხმებლად;

• მსოფლიო ბანკიდან თანხმობის მიღების შემდეგ, კონტრაქტს ხელს აწერს პროგრამის მენეჯერი.

პროგრამის კონსულტანტების აყვანის წესი

პროგრამის თანამშრომლების (კონსულტანტების) შერჩევა/დაკონტრაქტება ხორციელდება მსოფლიო ბანკის წესების შესაბამისობაში. ყველა სამუშაო აღწერა თანხმდება როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე მსოფლიო ბანკთან.

• დასტურის მიღების შემდეგ, პროგრამის შესყიდვების სპეციალისტი აქვეყნებს ვაკანსიებს (მოწვევა ინტერესის გამოსახატად);

• საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამტკიცებს სატენდერო კომისიას ბრძანების საფუძველზე, ხოლო თითოეულ შესყიდვაზე აღნიშნული კომისია ამტკიცებს და განსაზღვრავს შეფასების ჯგუფს;

• სატენდერო კომისია ამტკიცებს შეფასების ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია პროგრამის გუნდის შესყიდვების სპეციალისტის და სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული შემფასებელი ჯგუფის მიერ;

• შემფასებელი ჯგუფის და სატენდერო კომისიის მიერ საბოლოოდ დამტკიცებული შეფასების ანგარიში ეგზავნება მსოფლიო ბანკს შესათანხმებლად (შესყიდვების გეგმის მიხედვით საჭიროებს თუ არა წინასწარ ბანკის მიერ გადახედვას) განსახილველად/დასამტკიცებლად;

• მსოფლიო ბანკიდან შეფასების ანგარიშზე თანხმობის მიღების შემთხვევაში, პროგრამის შესყიდვების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მზადდება კონტრაქტის მუშა პროექტი, რომელიც ასევე ეგზავნება მსოფლიო ბანკს შესათანხმებლად;

• მსოფლიო ბანკიდან თანხმობის მიღების შემდეგ, კონტრაქტს ხელს აწერს პროგრამის მენეჯერი;

• პროგრამის მენეჯერის კონტრაქტს (მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ფორმის მიხედვით) ხელს აწერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს პროგრამის ხელმძღვანელი.

კონტრაქტების მართვა

• პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერ კონტრაქტების ცვლილებებს, ანგარიშებს, მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერს პროგრამის მენეჯერი;

• პროგრამის შესყიდვების სპეციალისტის და ფინანსური მენეჯერის მიერ ხდება კონტრაქტის ფარგლებში წარმოდგენილი საბანკო გარანტიების შემოწმება და აღნიშნული გარანტიების მოქმედების ვადების მონიტორინგი;

მუხლი 9. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

9.1. 2020 წელს დაგეგმილი მისაღწევი ინდიკატორები:

• შეიქმნება პროგრამის მართვის გუნდი;

• ჩატარდება სკოლამდელი განათლების სისტემური კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც გადაიხედება და დაიხვეწება სასკოლო მზაობის პროგრამები, შემუშავდება პროფესიული განვითარების სისტემა ბაღების აღმზრდელ პედაგოგებისათვის, შეიქმნება აქტივობები და მასალები, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;

• ზოგადი განათლების დონეზე ჩატარდება „ახალი სკოლის მოდელის" პროგრამის შეფასება და ანალიზი, რის საფუძველზეც დაიგეგმება სამომავლო აქტივობები და შემუშავდება პროგრამის სხვა სკოლებში დანერგვის გეგმა; გადაიხედება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა და შემუშავდება რეკომენდაციები სკოლის ადმინისტრატორთა პროფესიული განვითარების სქემის შესამუშავებლად; გადაიხედება და დაიხვეწება ინფრასტრუქტურული სტანდარტი პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო სკოლებისთვის; გადაიხედება და შემუშავდება სახელმწიფო შეფასებების განახლებული მეთოდოლოგია;

• უმაღლესი განათლების დონეზე დაიწყება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება;

• ჩატარდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საჭიროებების კვლევა, რეკომენდაციების შემუშავება და იმ აქტივობების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მონაცემების ინტეგრირების პოლიტიკის შემუშავებას საგანმანათლებლო პოლიტიკის უკეთ დაგეგმვის მიზნით.

9.2. 2025 წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

• სასკოლო მზაობის პროგრამები დახვეწილია და წარმატებით ინერგება სკოლამდელი განათლების მოსამზადებელ პროგრამებში; შემუშავებულია პროფესიული განვითარების სისტემა ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთათვის, რომელიც მოიცავს როგორც სალიცენზიო, ასევე სახელფასო პოლიტიკას; ჩატარებულია ტრენინგები და შემუშავებულია სასწავლო რესურსი ბაღების აღმზრდელ პედაგოგთათვის; შექმნილია ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც სანდო და ხარისხიანი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე ემსახურება სკოლამდელი აღსაზრდელთათვის სწორი პოლიტიკის დაგეგმვას.

• ზოგადი განათლების დონეზე გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურის სტანდარტი პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო სკოლებისთვის; დახვეწილი და გაუმჯობესებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა; შემუშავებული და დანერგილია სკოლის ადმინისტრატორთა პროფესიული განვითარების სისტემა; მასწავლებლები და დირექტორები გადამზადებულნი არიან მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებში როგორც პირისპირ, ასევე ელექტრონული კურსების მეშვეობით; დანერგილია სხვადასხვა პროგრამები, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური აზროვნების განვითარებასა და გამომგონებლობის ხელშეწყობას სკოლის მოსწავლეებში; შემუშავებული და დანერგილია სახელმწიფო შეფასება, რომელიც ემსახურება მოსწავლეების მიღწევების დროულ დიაგნოსტირებასა და განვითარების ხელშემწყობი საგანმანათლებლო აქტივობების დანერგვას;

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილია ახალი დაფინანსების სისტემა, რომელიც ემსახურება სწავლების და სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორობა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საგრძნობლად გაზრდილია; მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამები გათანამედროვებულია და პასუხობს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს;

• შექმნილია ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის პლატფორმა, რომელიც სანდო და ვალიდური მონაცემების სისტემური ანალიზის საშუალებას იძლევა.

9.3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

1. ადრეული განათლების და ზრუნვის ხარისხის და მათთან წვდომის გაუმჯობესება

• შემუშავდება და დაინერგება ადრეული განათლების და ზრუნვის ხარისხის მონიტორინგის ეფექტური ინსტრუმენტი

• შემუშავდება ერთიანი პოლიტიკა და დაინერგება სისტემა სკოლამდელი განათლების ანგარიშგებისთვის

• გაუმჯობესდება საბავშვო ბაღების სააგენტოებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების (ERC) პერსონალის შესაძლებლობები

• შეიქმნება სკოლამდელი მასწავლებლებისთვის მართვის და განვითარების სისტემა

• შემუშავდება სწავლების და სასწავლო რესურსები სკოლამდელი განათლების მიმღებთათვის

• შემუშავდება ანაზღაურების ახალი პოლიტიკა ადრეული განათლების და ზრუნვის მასწავლებლებისთვის

• გადაიხედება და განახლდება არსებული სასკოლო მზაობის პროგრამა

• რეაბილიტირდება რამდენიმე სკოლა, სადაც მოხდება სკოლამდელი კომპონენტის ინტეგრირება

• შემუშავდება ზოგადსაგანმანათლებლო არქიტექტურული სტანდარტები, რომელიც პასუხობს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს

2. ზოგადი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის ხარისხის ამაღლება

• შემუშავდება სკოლის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტები

• „ახალი სკოლის მოდელი" დანერგილია საქართველოს საჯარო სკოლების 80%-ში უმეტეს სკოლებში

• შექმნილია თემატური ინოვაციური კლუბები და შემუშავებულია სტრატეგია ნიჭიერი მოსწავლეებისათვის სწავლების გასაძლიერებლად

• გაუმჯობესებულია მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩარჩო და შემუშავებულია დირექტორების პროფესიული განვითარების გეგმა.

• შემუშავებულია თანამედროვე პედაგოგიკის შესახებ ტრენინგ მოდულები

• შექმნილია ელექტრონული პლატფორმა მასწავლებლებისთვის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით

• შექმნილია პროფესიული განვითარების დისტანციური სისტემა

• შექმნილი და დანერგილია ეროვნული შეფასების განახლებული მიდგომა

• შექმნილია განათლების კვლევის ეროვნული ინსტიტუტი

3. უმაღლესი განათლების სფეროს დაფინანსების ახალი მოდელების დანერგვის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაცია

• შემუშავებულია უმაღლესი განათლების დაფინანსების გაუმჯობესებული მოდელი

• შექმნილია დამმობილების და პარტნიორობის პროგრამები საერთაშორისო ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და კერძო სექტორთან

• დადგენილია საერთაშორისო სტანდარტები მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამებისთვის (მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობის დაწყებამდე) სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში

4. სისტემის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეთა კომუნიკაცია

• შემუშავებულია მონაცემთა ინტეგრაციის პოლიტიკა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სკოლამდელი განათლების ეტაპიდან უმაღლესი განათლების ეტაპამდე

• გაუმჯობესებულია განათლების პოლიტიკის დაგეგმვა ანალიტიკური სისტემის გამოყენების ხარჯზე

9.4. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) -

პროგრამის საწყის ეტაპზე შესაძლოა 2020 წლის დაგეგმილი მისაღწევი შედეგები მცირედით გადავიდეს 2021 წელს.

9.5. რისკები და მათი დაძლევის გზები:

რისკები	**რისკების იდენტიფიკაცია**	**რისკების დაძლევის გზები**
პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე დაგეგმილ ვადებთან ჩამორჩენა	შესყიდვების პროცედურების გაჭიანურება; მომსახურების შესყიდვის შედეგად, მომსახურების გამწევი პირის მიერ სამუშაოს არადამაკმაყოფილებელი შესრულება; პროგრამის გეგმის და ბიუჯეტის მონიტორინგი	კვალიფიკაციური კადრების დროული აყვანა და სამინისტროთან ინტენსიური მუშაობა